საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი

„12" 03 2013 წ.

ქ. მცხეთა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 228/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 25 თებერვლის N 71055/03 განაცხადით შპს „ყავა ჯორჯია"-ს (მის: გურამიშვილის გამზ. N12ა, კორპ.N5 და არალეთის ქუჩის და ყოფილი საბავშვო ბაღის მიმდებარედ) დირექტორმა ირაკლი ლომთათიძემ მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „COFFEE GEORGIA" (რეგ. N 23418) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „COFFEE GEORGIA" (რეგ. N 23418) საქართველოში რეგისტრირებულია 12.03.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 12.03.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 30-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „COFFEE GEORGIA" (რეგ. N 23418) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 173, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 12.03.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

COFFEE GEORGIA

რეგისტრაციის N: **23418**

მფლობელი: **შპს. „ყავა ჯორჯია“**

მისამართი: **შპს. „ყავა ჯორჯია“ გურამიშვილის გამზ. N12ა, კორპ.N5 და არალეთის ქუჩის და ყოფილი საბავშვო ბაღის მიმდებარედ, 0192, თბილისი, საქართველო**

კლას(ებ)ი: **30 - ყავა.**